ოქროს ვერძი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
კრიტიკა.

კვირა
30 ივნისი.

ფასი 10 კ.

№ 5.

Библиотека-Музей
Академия наук

შ ი ნ ა ა რ ს ი

გრ. რობაქიძე: ფიორდების ასულს.
პ. იაშვილი: მეორეს.
გელა: ფრჯათა რხევა.
პოემიდან „ორი რაინდი“ კ. აბაშის პირველი.
დე-ლილ-ადანი—და ნატალია.
შალვა დადიანი--ტყვე.
ჩვენი ხელოვნება
ქრონიკა.

ბარათები.

4. ფიორდების ასულს.

მე შორეული ვარ: არ ვიცი არც დღე და არც ღამე ჩემი მოვლენის; ლანდათ მახსოვს მხოლოდ, რომ დაბადების ჟამს ლურჯა ცას ვარსკვლავი მოსწყდა და სადღაც შთაინთქა მშვენიერი; ვინ იყო იგი, არ ვიცი: შეიძლება—შენ, რომელსაც დაგეძებ მარადის.

ქვეყანა ჩემით არ დაწყებულა, მაგრამ უჩემოთ არ გათავდება; საუკუნე საუკუნესა სცვლის, იმსხვრევა ძველი ქვეყანა და იბადება ახალი; მეც ვქრები მრავალჯერ ბნელეთში, მაგრამ მზის განახლებაში ვიშვი ხელმეორეთ; და დაგეძებ მუდამ ჟამს მხოლოდ შენ მშვენიერო.

აი ეხლაც, როგორც ათასი წლის წინათ, გელი შენ, როცა ღამე ჰქრება და დღეს კიდევ არ გაუხსნია თვალი.

იშლება ალიონი ნელინელ; ცისკარი კიდევ ახლავს მთვარეს, მაგრამ ფერმკრთალს მალე მოსცილდება; სქელი ლურჯი ნისლი მძიმედ გადასწოლია შავსა და ნელს მდინარეს; სდუმს ყოველი, ოდნავ ისმის მხოლოდ მისი ნელი თვლემა; ლურჯს თვალსა ხსნის ალიონი: ეს ლოდინია მზის ამოსვლის, ეს ლურჯი სურვილია მზით დათრობისა.

და აჰა, ვხედავ ჩემს ოცნებას ნეტარი გაოცებით: სქელი ნისლი იშლება უცნაურად და მის ლურჯ ქულაში ოდნავ ისახება შენი ღვთიური სხეული.

შენ ყვავილი ხარ, ჩემი ლეგენდის ყვავილი, მდინარის გულით რომ ამოზრდილა; მოგრძო ღერო, წყალში რომაა ჩაძირული, შენს მოქნილ ტანად იზრდები; თოვლივით თეთრი გული ყვავილისა შენს ფიქალ მკერდათ იშლება; მწვანე თასი, რომელშიაც იგი მოქცეულა, გარს გეხვევა სხივნართ ქსოვილად; და იშლები ნელინელ მატყვევებელი.

შენ ქალწული ხარ, ვით ყვავილი იგი, მაგრამ შენი თეთრი ტანი ვნებით ირხევა; როცა

სთვლემდი ერთს დროს ნიბიერი, მზე დაგმზერდა თავს მოპარებული: სხივი მისი ტრფიალით გადმოეშვა შენს ყლორტში და წამსავე შეირხა შენი ქალწულობა; მას შემდგომ ყოველს ალიონს წყლიდან ამოცურდები და გახსნილი გულით ელი ტყვემქნელსა.

ლურჯი ნისლი ციალობს შენს თვალებში ვით გაღვიძებული სურვილი და შენი მკერდიც სუნთქავს ლოდინით.

გიმზერ შორი-ახლო და ვიწვი ცეცხლით; ჩემს სურვილს მრავალფერ ალად გახვევ ტანს და ვცდილობ ლურჯს ნისლში ამოვსჭრა იმა ალით მარადი სახე შენი: მე ვიცი ცეცხლის ენა და მისი სიტყვით ვკითხულობ შენს თვალებში სიყვარულსა.

მაგრამ, რად ახლავს შენს თვალებს მძიმე სევდა? შენ გრძნობ, რომ მე მზის ნატეხი ვარ მხოლოდ, —და შენც ლოდინი ხარ მარტო და არა ასრულება; ცისკარი რომ მთვარეს მოსწყდება, შენ, ნისლში გახვეული, უეცრად გაჰქრები.

მარადი ქალწული! ასეთი გიხილე ათასი წლის წინად; ახლაც ასეთი შემხვდი უცნაურო და ლამაზო. საცაა, ალიონი ლურჯს ფრთებს დაიბერტყს და შენც მას გაჰყვები საუკუნოთ;
მე მხოლოდ ნაღვლს გაგაყოლებ თან და ვიწყებ ძებნას შენსას მშვენიერო და ვიცოცხლებ შენი შეხვედრისათვის მხოლოდ.
მე ვიწვი ცეცხლით და ფერფლის არ მეშინია; მზის განახლებაში მეც ვიშვი ხელახლა იმავ სურვილით; გადავლახავ საუკუნოებს და გიხილავ კიდევ. მაგრამ, როდის ვიხილავ შენთან ერთად მზის ამოსვლას, ჩემო ყვავილო? როდის გამოვკვეთ შენს ნისლოვან ტანს მზის ტალღებში, ჩემო მშვენიერო?

[illegible]

ხუთშაბათი. ღამე.

პ. იაშვილი

მეორეს.

ჩვენ სუყველას დავსცილდებით
ველის ვარდებს მივაშურებთ,
ჩვენ ამ ნადიმს რას დავეძებთ
სხვების ლხენას რას ვუყურებთ?

— —

ჩვენთვის ლხენა გაუმართავს
ყვავილებით ნაქარგ მდელოს,
მაშ წავიდეთ! ნულარ უცდი,
ნულარ უცდი სადღეგრძელოს.

— —

ვარდი ამბობს:-ჩემთან მოვლენ—
იასამანს გული სტკივა
შროშანა პირს ილამაზებს,
ბალახს ლხენით ცრემლი სცვივა,
ყველას ვნახავთ! დავასწავლით
თუ რა არის ტრფობის წესი,
მე მსურს ყველამ გაიგონოს
შეყვარებულ მგოსნის ლექსი.

— —

მზე მოკვდება ერთის წუთით,
ერთის წუთით დაიძინებს—
ნაცვლად ვარსკვლავს გამოგზავნის:
ის ცის ფსკერზე გაიცინებს,
ამ დროს კოცნით ღაწვს დაგიწვავ,
გადაგაქცევ მზიან ვნებათ;
უხმოთ წავალთ წყლის ნაპირას:
მყუდრო ბინის მისაგნებათ.

— —

და რაც რომ ჩემს სიჭაბუკეს
შერჩენია კიდევ ვნება
შენს თეთრ სხეულს ჩემო სატრფო
ცეცხლის ალათ მოედება...

— —

ჩვენ სუყველას დავსცილდებით
ველის ვარდებს მივაშურებთ
ჩვენ ამ ნადიმს რას დავეძებთ,
ჩვენ ამ ლხენას რას ვუყურებთ?

ყვირა. შუადღე.

ფრთათა რხევა

გ ე ლ ა.

სიყვარული კვლავ იკინის, კვლავ ელვარებს მახე გულის,
შვენების და ტრფობის ღმერთმა დღით გადასცა ტახტი ზეხულს;—
ცელქი სახე კვლავ ნარნარებს სხივთ დიადი თაიგულის,
შვების ღიმი დაქათქათებს ატოკებულ დღის ნაკადულს:

ნათელ სხივით მოსილ წალკოტს
დასთამაშებს ჰანგი მგოსნის,
სიხარული ფრთებს ისწორებს,
სიყვარული ყვავილს კოცნის!..

მწათობთ მეფის ოქროს თვალი ველს დაეცა ნამით მორწყულს —
მარგალიტის თეთრ მარცვლებით სანეტაროდ ფრთებ მოქარგულს,
მე თეთრ გუმბათს ვეამბორე-ცამდი ტაძრის აღმართულის,
ძლევის ხმები გულს ჩავიკარ დატყვევებულ სიყვარულის,
მინდა გულის მეგობარი მოვიწოდო ნეტარ ხმებზე,
სისხლის ცრემლი გადავბანო, დანადენი მისს ლოყებზე!..

ნათელ სხივით მოსილ წალკოტს
დასთამაშებს ჰანგი მგოსნის,
სიხარული ფრთებს ისწორებს,
სიყვარული ყვავილს კოცნის!

ნაწყვეტი პოემიდან „ორი რაინდი“ (ლეგენდა).

კარი პირველი.

პირველი ხმა. ჰეი ვინ ხარ სიბნელეში
იქ ბილიკზე რო დამდგარხარ?
ცხენიან კაცს გზა მიტიო
ნუ თუ ამას ვერ მიმხვდარხარ?

მეორე ხმა. ჩუ, სიმღერას ყურს უგდებდი,
ადგილით ვერ დავიძარი.
მე გახლავარ მონადირე
დაჭრილ შველის მაძებარი.
ჰე უცნობო შენიც მითხარი
ან სახელი და ან გვარი.

პირველი ხმა. მე სახელათ მზე ჭაბუკსა
შინ და გარეთ მეძახიან.
ნადირობა ვის სმენია,
სიბნელეში ასე გვიან?

მონადირე. მეფის შვილო! ეს შენა ხარ
ვისც მსახურობს ეს ქვეყანა?
უამალოთ მწირ ადგილას
ტყეში აქ ვინ მოგიყვანა.
მაპატიე რომ ბნელაში
აგრე რო ვერ გაგარჩიე...

მზე ჭაბუკი. მე აქეთკენ მარტოთ მარტო
დაჭრილ შველსა გამოვსდიე.
შენ ეს მითხარ რა ფერია,
შენ რო შველი დაგიჭრია,
ნიშანი რამ ან გულ-მკერდზე,
ან თეძოზე თუ ატყვია?

მონადირე. შველი იგი მეფის შვილო
მე შემომხვდა აქ ეწერზე
თეთრ კიოპსა თვალი მოვკარ
ასე ვგონებ ქონდა მკერდზე —
მაგრამ იგი მე სრულიათ
შემეფეთა აქ შემთხვევით.
კარავისკენ მივდიოდი
ზღვის პირს რო დგას
ტყისა ქვევით.
მივდიოდი და საჯოხეს ჯიბის დანით
რასმეს ვთლიდი.
მშვილდ ისარი ხელთ არ მქონდა
და მშველს ეგრე ვით დავჭრიდი?
ძლივს მორბოდა, შემდეგ ენახე
მოლზე სისხლი დაეწვეთა
ალბათ შენი დაჭრილია
მე რო შველი შემეფეთა.

მზე ჭაბუკი. მაშ ის არი?...
სუ,რა ხმაა ზღვის პირიდან რო მოისმის?.

სიმღერა. ცაზე ვარსკვლავს რა ახარებს
ფირუზ თაღზე რო ციმციმებს,
ღრუბლის ქულას ვინ ატარებს?
ეოლოსის კითხე სიმებს.
როს ღრუბელი მოყიალე

სიხარულის ცრემლს აწვიმებს,
ძირს ნარგიზი თავს ხრის მაშინ
ვერცხლის ცვარიც მას ამძიმებს,
ბროლის ცრემლით ევედრება
ის ეოლის მკვნესარ სიმებს.
ვარსკვლავია ცის მშვენება
ყვავილი კი, ნორჩ მდელოსი
ყვავილთ შორის შვამავალი
შიკრიკია ეოლოსი.
„ვარსკვლავი ცის მშვენებაა“
ეს მყინვარე ვინ დასწერა!
ყვავილები მოლს ამკობდენ
და მიწას კი ქალეთერა.
მიწის შვილთა, თუ ისმინონ,
გულს დაუკოდთ ეს სიმღერა.

მზე ჭაბუკი. სუ, ვინ მღერის ჟამს მწუხრისას
ეს ვინ უვლის ფერხულს ველად?
ალბათ ვინმე მეფის ქალი
ბანაობდა უეჭველათ.
ქალწულ ქალთა ეს ამალა
თანაც ახლდა მას მომვლელად
შეხე წინათ რა შოროს იყვენ
გაარჩევდა კაცი ძნელად;
ახლა კი, ვსჭვრეტ თეთრ სამოსზე
გიშრის დალალთ დაყრილთ ველად.
ეს სიმღერაც გულში მწვდება
ხან საამოთ, ხან დამწველათ.

მონადირე. მეც მაგ ხმებმა მეფის შვილო
მომხიბლა და გამიტაცა
სულ აქ ვდგავარ მე მას შემდეგ
მწუხრის ბინდმა მორთო რა ცა.

მზე ჭაბუკი. შენ ბილიკით ჩამოდექი
ამ ფერდობით ჩავალ ველად
ვნახავ იმათ, ვინც ზღვის პირზე
იქ მღერიან სანუკველად.

მონადირე. მეფის შვილო მაგას ნუ იქმთ,
თავი ნუ გაქვთ გასაწირად!
ჩვენი ერი შენ გსასოობს
თავი შენი ულირს ძვირად.
ბანოვანთა იგი გუნდი
მოცეკვავე ზღვის ნაპირად —
თქვენ რო ვიღაც მეფის ქალის
ამალობა მიაწერეთ,
ნამდვილათ კი ზღვის ფერიებს
ვხედავთ ჩვენ წინ დამიჯერეთ!

მზე ჭაბუკი. მსურს წავიდე, უნდა ვნახო...

მონადირე მეშინია არ შეგემთხვეთ
ხიფათი რამ სავაგლახო.

მზე ჭაბუკი. ხმალ კაპარჭი წელს არა მაქვს
ან სამისო რა იქნება
მსურს წავიდე — დე ასრულდეს
განგებისა იგი ნება!

მონადირე. მეფის შვილო თან გიახლო
თუ მარტო გსურს ვით ამბობდი.

მზე ჭაბუკი. ნება შენი ძალს არ გატან
გინდ დარჩი და გინდ წამოდი.

მონადირე. გეახლები.

ფერიების ფერხულს რა მიუახლოვდებიან—იგი ორ წყებათ იყოფა.

ერთი ფერია იწყებს, სხვა აყვება.

ჰე ჭაბუკო დაჭრილ ნადირს
სანამ გინდა სდიო,
იო, იო--
მზევ შინ შემოდიო
განთიადზე ტყეთ მომავალს
გზაზე შემოგვხდიო.
იო, იო,
მზევ შინ შემოდიო.
ჩემი ხელით ეგ კულული
ჟნდა შეგირხიო--
ზამბახების თაიგული
მკერდზე დაგაბნიო...
იო, იო,
მზევ შინ შემოდიო.

ახლა მეორე წყება იწყებს.

ქალ ეთერა
შენ წახვედი
მე მით დავობლდიო.
დაისერა
ჩვენი ბედი
მოსთქვამს მინდვრის სიო...
იო, იო,
მზევ შინ შემოდიო.
მზევ ზღვის წიაღს ჩაძირულო
ისევ ამოდიო.
მზევ ქვეყნისთვის ბნელს ჩანთქმულო
ისევ ამოდიო.
მე ამ ქვეყნის სტუმარი ვარ
მუდამ ამბობდიო
იო, იო,
მზევ შინ შემოდიო.

მონადირე. მეფის შვილო შიგ ნუ შევალთ,
ეს ბინაა ვგონებ მათი.
ხედავ მჭედელს, მოხუც ჭინკას,
მეფის შვილო რამ ხიფათი
ამ ავ სულმა არ მოგვწიოს...

მზე ჭაბუკი რას გაბედავს, ბებრუკუნას
გავამგზავრებ საიქიოს!..

მჭედელი. ბერი ჭინკა კერასთან ზის
სტუმრებს ერჩის იგი არას.
მაქო დარბის და ბზიალი
გესმით გააქვს თითის ტარას.
ბერი ჭინკა ხმას არ იღებს
ატრიალებს თავის ჯარს.

ერთი ფერია. —საფეიქრო რათ დასტოვე
დათავება უნდა საქსოვს.
მდუმარედ ზის, ყურს არ ესმის
არას ფიქრობს, არა ახსოვს.

მეორე ფერია. უმალ ტალღა გაქვავდება
ქვიშის თოკით ქარს შეკოჭავ ,
უმალ მთვარე გაშავდება
ცით ვარსკვლავებს ჩამობოჭავ,
უმალ კლდის კუზს ჩამორეცხავს
და ჩამოქნის ზღვისა ჭავლი,
ვიდრე ხეპრე ბებრუცუნას,
მოარჯულებ, ჭკვას ასწავლი.

მზე ჭაბუკი. აქ რათ უნდათ კედლის სარკე,
ან კუთხეში ძვლების ყორე?

მონადირე. სამჭედლოა, საფეიქრო?...
ღმერთო ხიფათს აგვაშორე.

ფერია. ეს ჭინკების სამყოფია,
არც ერთია, არც მეორე.

მჭედელი. აქ ისმენენ გაუგონელს,
აქ წონიან აუწონელს...
აქ ხვრეტავენ თვალით კედელს.
ბერი ჭინკა, ჯარას უზის
მე კი ვჭედავ გაუჭედელს..
ბერი ჭინკა ჯარას უზის
ნაღვლიანათ თანაც მღერის:
როს ზღვას სძინავს. ნაპირი სთვლემს
ხმა შესწყდება ვერცხლის ჩქერის..
ოდეს მთვარის ანარეკლი
ვით დალალნი ქალ ეთერის
ზღვას ეხვევა გარს ლეჩაქათ,
მაშინ კუნძულს, შუქზე მთვარის,
შორით რა სჩანს მცირე ლაქათ.
უცხო ლანდი რამ ეწვევა
და სალ კლდიდან გაღმომდგარის
ხმა გარემოს მოერხევა:
წყეულ იყავ ვინც დუმილი
ჩემს გარშემო დაამყარე,
მუნჯ სიჩუმით ჯად ქმნილი
დააძინე ირგვლივ არე.
წყეულ იყავ. რადგან ამით
ჩემში სევდა გააღვიძე.
წყეულ იყავ- ჯავრ ვარამით
ვინც დატვირთე ადამის ძე.
წყეულ იყავ ვის ჩემ სულში
ეჭვის გველი ჩამისახავს,
დე, მსოფლიოს ბნელ უფსკრულში,
მიწა ნათელს ნულარ ნახავს.
ცხოვრების ხეს წყევლამ ჩემმა
ყოფნის კვირტი შეაყინოს.
არსებობის მაჯის ცემა,
ვით ზღვის ტალღა მიაძინოს —
შექმნილი და შემოქმედი
ამიერით წყეულ იყოს
დე მურტალი კაცის ბედი
ყრუ ნაპირზე გაირიყოს.

არსაით ხმა. ფერმიმკრთალი
ჰმუნავს მთვარე — ზღვას კვლავ სძინავს...
და იმ ხმაზე წამომფრთხალი
მეთოლია შორს მიფრინავს.
აჩრდილი კი, ზის მდუმარედ
სალ ნაპირზე ფეხმორთხმული,
და კუნძულიც სთვლემს მარტოკა
ტალღათ ლაშქრით შემორტყმული.

კ. აბაშისპირელი.

და ნატალია.

3. დე-ლილ-ადანი.

ანდალუზიაში, მთის შარა-გზის ნაპირათ იყო ფრანცისკანების მონასტერი. სხვა მონასტერთა შორის, რომელიც მის გარშემო იყო აშენებული, ეს მონასტერი ყველაზე უფრო პატივცემული იყო: მის წმინდანათ ითვლებოდა უზარმაზარი ჯვარი, საიდანაც დღეში ორჯერ ირეკებოდა ზარი. მონასტრის ახლოს, დიდ გზაზე, იდგა პატარა საჯვარე, რომლის კარები არაოდეს არ იხურებოდა. გარშემო იშლებოდა აყვავებული მიდამო; მწვანეთ ბრწყინავდა ბალახი, დამათრობელ სუნს აკმევდა ხეები; თეთრათ მოჩანდა მტვერიანი გზა; ყველგან სიჩუმე და სიცარიელე იყო.

ერთხელ, შემოდგომის საღამოს საჯვარეში მუხლებზე იდგა, მონაზონის ტანსაცმელში, ახალგაზდა ქალი, ნაზ და დამათრობელ სილამაზით. ის იდგა სვეტში გამოკვეთილ მაცხოვრის წინ; ჭერზე დაკიდებული სანათი ანათებდა მადონას, ყოველი სიკეთის მომნიჭებელს, რომელსაც მიებნიდა თვალები და აღეპყრო ხელები.

გზიდან, ფეროვან მინით ჩაჯენილ ფანჯარაში მოისმოდა სერენადას ტკბილი ჰანგი, კორდუანელ მანდალინის აკომპანიმენტით. ტკბილი სიტყვები, ვნებითა და ჭაბუკურ გატაცებით აღსავსე—აღწევდა მუხლ მოდრეკილ მონაზონ და ნატალიას სმენამდი. და თავდახრილი მადონას დაჭდობილ ხელებზე, სასოწარკვეთილი ჩურჩულებდა:

— მპყრობელო, შენ ხედავ, მე ვტირი და შეგთხოვ ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას; მოქანცული სულით და ხორცით, მივდივარ აქედან და თან მიმაქვს ჩემს სულში შენი წმიდა სახე. წმიდაო ქალწულო, შეიბრალე ის, რომელიც მიწიერ სიყვარულისათვის სტოვებს წმიდათა სამთავროს. გესმის შენ ეს ხმა: ის მაფიცებს მე უსაზღვრო ერთგულობას! თუ არ გავეხმაურე მას—მაშინ მოკვდება, და განა უნდა უარვყო მე სიყვარული ჩუმი და მრავალი წლის განმავლობაში უიმედოთ მყოფი?!

განა არ უნდა ვანუგეშო ის, ვინც მიყვარს ასე ძლიერათ! მაპატიე წმიდაო ქალწულო: ხომ იცი რომ შენ მიყვარხარ და რომ ყოველ საღამოს მოვდივარ აქ, რო გეველდრო შენ. ეხლა კი მელევა ძალი. სუნთქვა მიკავდება... ეს ხმა... ის მეძახის... მშვიდობით, მშვიდობით!

და ნატალია ადგა, წაბორძიკდა, ვერ გაებედა თვალების აწევა, მიდვა კლიტე და ზეწარი მადონას ფეხთით, რომლის ნათელ სახეს და ნატალიასავით მიებნიდა თვალები და რომელსაც სახეზე სხივი დათამაშებდა.

სვეტებს დანდობილი ის მივიდა კარებთან და წუთიერ ყოყმანის შემდეგ გააღო; ჩავიდა კიბით და გავიდა გზაზე, რომელსაც ანათებდა სავსე მთვარე.

— ჟუან! — დაიძახა მან.

მის ძახილზე გაჩნდა მხედარი, ახალგაზდა რაინდი არწივისებურ სახით და სიხარულით სავსე; ჩამოხტა ცხენიდან და გახვია თავის მოსასხამში ის, რომელიც როგორც იქნა მოვიდა.

— ნატალია! — ძლივს წარმოსთქვა მხედარმა.

შეიჯინა თუ არა ცხენზე, მაგრათ მიიკრა მკერდზე და გაექანა კოშკისკენ, რომლის თავი ბუნდოვანათ მოსჩანდა მკრთალ მთვარიან ღამეში.

* * *

ნახევარი წელი გავიდა ნეტარებაში, სიყვარულში, ფლორენციის, რომის და ვენეციის დათვალიერებაში.

ვაჟი სიხარულით ავსებულიყო, ქალი კი ხშირათ ფიქრებს ეძლეოდა: გიჟური და ვნებით სავსე იყო მისი მათაყვანებელის ალერსი, მაგრამ ამას კი არ ელოდა ქალი თავის უცოდველ არსებაში.

და უეცრათ, როცა კადიკსს დაბრუნდენ, ერთ მშვენიერ ნათელ, მზიან დილას, ქალს გამოეღვიძა მარტოთ, უბეჭდოთ, მშობლურ სიხარულის გამოუცდელათ; მისი საყვარელი, რომელსაც მოსჯარბებოდა მასთან ცხოვრება, უკვალოთ გამქრალიყო.

სასოწარკვეთილმა ხელიდან გააგდო საბედისწერო წერილი, რომელიც ამცნობდა მარტოობას: მაგრამ ბედს არ ემდუროდა და გადაწყვიტა აღარ ეცოცხლა.

რაც კი რამ ებადა ღარიბებს დაურიგა, სიცოცხლის განშორების წუთს უეცრათ ეწვია სურვილი—ტკბილი სურვილი—ერთხელ კიდვე ენახა, მხოლოდ ერთხელ ენახა მადონა და ეთქვა უკანასკნელი „მშვიდობით“.

შენანიებულ ცოდვილის ტანისამოსში, გზაზე პურის თხოვით, წაბარბაცდა ის მონასტრისკენ—საჯვარესკენ—და ვერ გაებედა ფეხი შეედგა უცოდველ ქალწულთა საცხოვრებელში. მიდიოდა რამდენიმე დღე და ბოლოს ზაფხულის ერთ მომხიბლავ საღამოს. როცა ცა აკიაფებდა მილიონ ვარსკვლავს და ფირუზის ფერი სიმკრთალე მიწაზე ეშვებოდა, ის ათრთოლებული, ძალა მილეული, მიუახლოვდა ღვთაებრივ ქალწულს.

მას ახსოვდა, რომ ამ დროს მისი ძველი მეგობრები ბრუნდებოდენ თავთავის საკანში ლოცვისათვის და რომ ეკლესიის გალავანში არავინ იქნებოდა, როგორც მის გაპარვის დღეს. ამიტომ მან შეაღო კარები და შეიხედა: არავინ! მხოლოდ იქ, მბჟუტავს სანათის ჭვეშ იდგა მადონა.

შევიდა და მუხლებზე მიჩოჩდა ციურ ხატებასთან და ყველა შემბრალებელის სახის წინ ტირილით წაიბუტბუტა:

— ღვთისმშობელო! არა ვარ ღირსი შენი შებრალებისა. მე არ ვიცოდი მაშინ, როცა მაცთურის ხმა მეძახდა, რამდენი ტანჯვა და სირცხვილი-მაგრამ ვაი!—მიწიერი სიყვარული იზიდავს თავისკენ.

სირცხვილო, სირცხვილო! მოვკვდები მშობლიურ სახლიდან და აქედან განდევნილი. ყველა შენი ქალწულნი, წმიდაო დედა, შეშფოთდებიან შიშისაგან რა დამინახავენ და გამაგდებენ ამ საჯვარედან. მიწიერ სიტკბოების ძებნაში, დავკარგე გადარჩენის რწმენა!

* * *

ქალის ჩუმი ცრემლები ეცემოდა ღვთისმშობლის ფეხთით და მადონას მიშტერებული თვალები, თხოვდა შენდობას, როცა უეცრათ მთელი მისი არსება შეკრთა სიხარულისგან: წმიდა თვალებმა შეხედეს მას, ქანდაკების ტუჩები გაინძრა და ციურმა დედოფალმა ტკბილათ სთქვა:

— ჩემო შვილო, განა შენ დაგავიწყდა? როცა ჩვენ ვშორდებოდით ერთმანეთს, დამიტოვე ზეწარი და გასაღები შენი საკანის. აქ ვმსახურებდი მე შენს მაგიერ; ამ ზეწარში გადაცმული მე ვასრულებდი შენს საქმეებს. ვერც ერთმა შენმა ამხანაგმა ვერ შეამჩნია შენი წასვლა: დაიბრუნე ისევ უკან, რაც დამიტოვე, დაბრუნდი შენს საკანში და... აღარ წახვიდე აწი...

სკ—ლი.

ტყვე.

შ. დადიანი.

(გაგრძელება).

12 ივლისს დიდი ფაცა-ფუცი იყო ესტატე მღვდლისას.

ნიკოს დაბადების დღე იყო და წვეულობა ჰქონდა ელისაბედს.

ბევრი იყვნენ წვეულნი.

ჩვენ ნაცნობებს გარდა აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლიდან მოსული სტუმრები.

სამაზრო დაბიდანაც ჩამოსულიყო მაზრის უფროსი ფონ-ტაუბე და ახალგაზდა გამომძიებელი გრომბნიკკი. აქ იყო აგრეთვე დიდი მებატონე, ძველი, დარბაისელი, ყურთმაჯებიანი კოტე არათურელი და მისი ძმისწული გიჟი სიმონიკაც.

ეტატე მღვდლის მომცრო, ცოტა შეფერდებული ეზო, თითქმის მთლად მოფარული იყო ამ სტუმრებით და მათი სხვადასხვა სახის, სხვადასხვა ფერის ტანისამოსი და მორთულობა, როგორც იტყვიან, მართლაც უცხო თაიგულათ შეკონილიყო.

ზაფხულის ცხრა-თვალა მზე კი მეტათ მწვავე სამოსით მოსავდა იქ მყოფთ, მაგრამ ქართველური გულ-ღიობა მასპინძლებისა დ სტუმართა უდარდელი მხიარულობა თუ სულ არა, მაინც საგრძნობლათ ფანტავდა სიცხის უსიამოვნებას.

ზოგჯერ, ათასში ერთხელ, მთიდან წამოდენილი გრილი ნიავიც გადაურბენდა არე-მარეს და ამითი კიდევ უფრო აცოცხლებდა ამხნევებდა და მეტს ძალას აძლევდა საქეიფოთ თავ-მოყრილებს მართლაც და უცილობლათ მოსალხენათ.

უშველებელი სუფრა იმლებოდა კაკლის ძირას.

ეტყობოდა, რომ დღეს საფუძვლიანი, დინჯი და ხანგრძლივი ნადიმი გაჩაღდებოდა.

მანამდი კი ახალგაზდობა ჩვეულებისაებრ ჟრიამულებდა დარბაისელნი საყველპურო საგნებზე მასლაათობდენ, ორი ჩოხოსანი ერთი მეორეს ნარდში შებმოდენ და აივნის ერთ ყურეში მაზრის უფროსი ფონ-ტაუბე, მასპინძელი ელისაბედი, გამომძიებელი გრომბნიცკი და დიდი მებატონე, ყურთმაჯდებიანი კოტე არათურკლი პროფერანსით იქცევდნენ თავს. მხოლოდ ერთ ალაგას შემდგარიყო პატარა ჯგუფი და ჯმუხ და ჩოფურა ტიტიკოს ცხარეთ ეკამათებოდენ. სანდროც კი ჩარეოდათ ლაპარაკში. მას თითქო დაეძლია თავი სიზარმაცისათვის.

კამათი სიყვარულზე იყო.

ჯგუფი ცდილობდა ჯერ კიდევ აუხსნელი პრობლემა სიყვარულისა როგორმე ცოტა გაეშუქებინა, მაგრამ რა თქმა უნდა, მათი ბაასი ზერელე იყო.

კამათი მიდიოდა, ჩვეულებისამებრ, ესე ვთქვათ, მთა-გორიანათ, ოღრო ჩოღროთ. ხან მაღალი, ზეაწეული კილო, ხან გავაკებულზე თოხარიკი უკვე მზა-მზარეულ ფრაზებისა.

უმეტესობა კი მაინც გმობდა დღევანდელ შეყვარებას. ამბობდენ, რომ სიყვარული დაიკარგა. ანუ უკეთ რომ ვსთქვათ დაკარგა თავისი სიწმინდე და სიფაქიზერომ დღევანდელი ტრფობა მხოლოდ სქესებრივი აღტყინებაა და სხვა არაფერი.

მხოლოდ იქვე მდგომი ზურაბი იყო ჩუმათ. ის ამ დილიდანვე არ იყო გუნებაზე. იმან ერთხელაც ვერ მოასწრო თიკოსთან თუნდა ერთი წუთით განმარტოებით ყოფნა. თიკოს დღეს თითქო მისთვის არ ეცალა. ის ყველგან იყო და არსად კი. ხან ქალალდის მოთამაშეებთან ჩნდებოდა თიკოს წერწეტა ტანი, სადღეისოთ სულ თეთრებში მორთული და ამითი კიდევ უფრო მიმზიდველი, კიდევ უფრო ჰაეროვანი. ხან მონარდეებთან, ხან კაკლის ძირას, სუფრასთან, ხან კიდევ ახალგაზდების წრეში და ხანაც უფრო ძვირათ, ზურაბის ჯგუფთან.

—მაინც დღეს რაღაც სულ სხვა ნაირია თიკო. თვალები უელვარებენ, ლოყები ცოტა წამოწითლებია და ტუჩები?. ოჰ, ეს ტუჩები... რათ ღვივიან ეგრე წითლად? რათ იპობიან ეგრე გამოცანურათ? რას ულიმიან? რომელ უცნაურ ბედნიერებას?

მაგრამ მშვიდდება ზურაბი.

—ან რა აქვს ასაშფოთებული? რა ბავშია კიდევ! რა თქმა უნდა, რომ დღეს თიკო ბედნიერია. ახალგაზდაა, ჯანსაღი, უმწიკვლო. დღეს მისი დაბადების დღეა. ამდენ სტუმრებს მოუყრიათ თავი მის საზეიმოთ. ახალგაზდას კი არა... ვის არ გაახარებს ბედნიერი დღე, პატივის-ცემა, თაყვანი, სიყვარული. სიყვარული!..

გულს ესალმუნა ზურაბს.

—თიკომ იცის, რომ ზურაბს უყვარს იგი. იცის, იცის... ეს დიდი ხანია ზურაბის თვალებმა მის წინაშე გამოსთქვა, მისმა ათრთოლებულმა ხელებმა აგრძნობინა, მისმა უმნიშვნელო, სადა, მარტივმა სიტყვებმა გადალცეს სხვადასხვა დროს. — მუდამ უბრალო იყო მისი საუბარი თიკოსთან, თითქო უშინაარსო, მაგრამ მნიშვნელოვანი კი. — იგრძნო, თიკომაც ამ უბრალო სიტყვების ღრმა საფუძველი და... არაფერი გადაწყვეტით არა თქმულა მათ შორის, მაგრამ, უეჭველია რომ თიკო ზურაბის იქნება. ახლოს არის ეს დღეც. მხოლოდ თამამი ხელის გაწოდება უნდა და ბედნიერება ზურაბის ხელთაა. მაშ რა აწუხებს, რა აშფოთებს დღეს რომ ვერ გაეკარა თიკოს.?. რა ვუყოთ? — თიკო ხომ მაინცდამაინც მასპინძელია, მაშ ხომ სულ ზურაბთან ვერ იქნება! — ხომ ყველგან უნდა იყოს, ყველასთან უნდა გამოიჩინოს თავაზიანობა და ზრდილობა! განა ზურაბს ის არ ეყოფა, რომ ერთი წუთით მოქროლდება მათ ჯგუფთან თიკო და ერთს შეანათებს მის ლამაზ თვალებს. მერე რა გამოხედვაა მისი გამოხედვა! მაშ სხვა რაღას ითხოვს დღეს მაინც.

ზურაბი მშვიდდება, მაგრამ უეცრათ გაახსენდება თიკოს დღევანდელი გამოცანური, მეწამული ტუჩები და ეს კვლავ მოუზღვავებს ფიქრთა ჯარს. თუმცა აქავე იჭერს თავის თავს: „არა, საშინელი ეჭვიანები ვართ შეყვარებულები, უბრალო რამ, ხელთ მოუკიდებელი გვაღელვებს!“

—ზურაბ, ზურაბ! თქვენ როგორ გაგვიჩუმდით? — აგერ მიმართა ერთმა შუა ხნის, მაგრამ მოხდენილმა ქვრივმა ქალმა. — თქვენისთანა მჭევრ-მეტყველი აქ იყოს და ესე ჩუმათ?

ზურაბი ზრდილობიანათ მისკენ მიბრუნდა.

— რათა? განა არ შეიძლება ზოგჯერ მხოლოდ მსმენელიც ვიყო..

— მაგას სასამართლოებშიაც მოსწყინდა, ბატონო ორატორობა.! — იხუმრა ვილაცამ.

ზოგიერთმა გაიცინა

—ზურაბს სიყვარული აჩუმებს! — გასისინდა ჭორი ჰაერში, მაგრამ ერთმა ჭაღარა შერეულმა ჩოხოსანმა თავის ბოხის ხმით დაფარა იგი:

—რის სიყვარული!- ბატონებო, წინეთ ხომ სიყვარულით არ ირთავდნენ ერთმანეთს ქალვაჟნი! უფრო გარიგებით. კარგათ იცით, რომ წარჩინებულ წოდებაში დედ-მამა თავიანთ ბავშების აკვანს ერთი მეორეს მიუდგამდა და ამით თავდებოდა ყოველივე... ესე შეუღლებულნი ხშირად ბედნიერი იყვენ. ან ჩვენი გლეხობა აიღეთ. დღესაც გარიგებით ირთვენ ცოლს, მაგრამ განა რამდენია მათში უბედური.?.

სწორეთ ამ დროთ ეზოს ფერდობიდან საშინელი კივილი მოისმა და თან ახალგაზდობის ხმა მაღალი სიცილ-კიჟინა.

ისინი რუსულ „კატა-თაგვობია-“ თამაშობდნენ. თაგვობა თიკოს რგებოდა, კატობა თავად სიმონიკა არათურელს.

სიმონიკას თიკოსათვის წელში მაგრათ ხელი ჩაეჭიდა და თვალებ-ანთებული ცოტათი გადაზნექილს, თმებ-აწეწილს და მართლაც შიშისაგან ათრთლებულ თიკოს ტანს ჩასჩურკმოდა.

კივილზე ყველამ თავი მათკენ მიიბრუნა. ზოგს გაკვირვება წაეწერა სახეზე, ზოგს სიცილი მოერია და ზოგსაც, მამაკაცებში, სამსუნაგო ელფერი დაედვა. ზოგიერთი ქალები კი ტუჩ-ამრეზით შეხვდნენ ამ სცენას.

ზურაბმაც მიიხედა მათკენ.

აფართხალებული კივოდა თიკო და ახალგაზდობა კი სიცილს აყრიდა, ბოლოს, როგორც იყო, გამოუსხლტა მარდ კატის კლანჭებს და როგორც კი თავი გაინთავისუფლა, ეხლა თვითონ მორთო მხიარული სიცილი.

ზურაბს არ მოეწონა ეს ამბავი.

—რა მოუვიდა დღეს თიკოს? სრულიად აღარა გავს თავის თავს! თიკო დინჯი, თიკო ამაყი სად გადიკარგა? ან მისი დედოფლური მიხვრა-მოხვრა, მისი შეუვალი ბრგვე ტანადობა რათ არის დღეს ასე მოქნილი, ასე ჩვეულებრივი, ასე მდაბიო ქალური.?.

გულს უკბინა რაღაცამ.

—ბედნიერი ვიქნები კი მაგასთან.?. ნუ თუ ამ ქალშიაც არის ისეთი მხარეები, რომელსაც მე ვერ ვიცნობ?..

სულ გამოშტერდა ზურაბი და უძრავ ქანდაკებასავით გაშეშდა.

ესტატე მღვდლის ცოლი კიბიდან ჩამოდიოდა. დღეს უფრო მოხდენილი სჩანდა რაღაც გაფარფაშებულ კაბაში, მხოლოდ მისი მწვეტიანი ცხვირი მაინც ვერ დაემალა.

თიკოს კივილზე ის სიჩქარით მიიჭრა თიკოსთან და ბოროტათ აგზნებულ თვალებით ახედ-დახედა.

—რა იყო, ქალო, რა გაკივლებს?!- აქაურობა აიკელი.

თიკომ მიატოვა სიცილი, ერთი კი ზიზღით შეხედა და თავისებურის დინჯის და მსუბუქის ნაბიჯით, სრულიად დამშვიდებულის სახით აივნისკენ გასწია.

ესტატე-მღვდლის ცოლი მობრუნდა და გაშეშებული ზურაბი დაინახა. მსწრაფლად თავი მოიკატუნა და თითქო რამეზე ბოდიშს იხდისო, ისეთის კილოთი მიმართა:

—ღმერთო მომკალი.!. რა ფერი გაძევს, გენაცვალე, ზურაბ!

მაგრამ ზურაბს თვალები უკვე უბრწყინდებოდა, მისი ახალგაზდა, ბავშურათ შეჭმუხნული შუბლი თანდათან გაიშალა და სახეზე ღიმმა დაქროლა: მან დაინახა აივნისკენ მიმავალი ძველებური თიკო, მისი დედოფალი, მისი ღმერთი...

ესტატე—მღვდლის მეუღლემ შეატყო სამხიარულო გუნება ზურაბს და თვითონაც სიცილით, მხოლოდ რაღაც შემპარავის კილოთი უთხრა:

— რა გიჟი რამ არის ეს ჩვენი თავადი სიმონიკა!..

ზურაბი ეხლა მოვიდა გონს. ეხლა შეამჩნია, რომ მასთან „ფოფოდია“ იყო. არ იამა ამ ტანზე ჩასქელებულისა და პირზე წამწვეტებულ დედაკაცის ესეთი გესლ-წაყრილი მოფერება. ერთი უაზროთ გაუღიმა და ზრდილობიანათ ჩამოშორდა.

ესტატე მღვდელი კი უკვე სუფრაზე იწვევდა სტუმრებს.

ყურთმაჯებიანმა თავადმა ელისაბედი წაიყვანა. ეს ჭარმაგი მოხუცი ჯერ კიდევ კოხტაობდა. ელისაბედის ყურთან დახრილი ეფიცებოდა, რომ დღეს ერთი კიდევ უნდა გავიხსენო ახალგაზდობაო. სათნო სახის ელისაბედი მარილიანად უცინოდა თავადს, მხოლოდ იმ გამომეტყველებით, როგორც მოყვარული დედა თავის ცელქ შვილს ზოგიერთ ცელქობას აპატიებს ხოლმე.

ფონ-ტაუბეს შუა-ხნის მოხდენილი ქვრივი ქალი ერგო.

გამოიძიებელ გრომბნიცკის ესტატე მღვდლის ცოლი აეტორღიალა. ახალგაზდა გამომძიებელმა ერ-

თი უსიამოვნოთ გახედა, მაგრამ, როდესაც კარგათ ჩაათვალიერა „ფოფოდიას“ მკვრივი ტანი, „ничего, опетитная грузинка-ო გაიფიქრა... Впрочемъ, страшно на жидовку похожа...“ (არა უშავს-რა, მადიანი ქართველი ქალია... თუმცა ურიის ქალს საშინლად გავსო).

გამწკრივდნენ სტუმრები.

ხელი-ხელ გაყრილნი საზეიმოთ მიმავალსა გვანდნენ. ახალგაზდობა ჯერ კიდევ არეულათ იყო გაშლილი სუფრის გარშემო და ეზოში.

თავადი სიმონიკა მივარდა თიკოს:

—თიკო ელისბაროვნა, მე თქვენთან!..

თიკომ გაღიმებული თვალებით შეხედა, მაგრამ არ უთხრა-რა.

—Или вы уже ангажированы? (ან შეიძლება იკვე მიწვეული ხართ?)

—არა, არა, нѣтъ?— აჩქარებით დაუკრა რუსული ბეჭედი თიკომ თითქოს შეშინდა სიმონიკა არ ჩამომშორდესო.

სიმონიკას არ გამოპარვია ეს აჩქარება და ვინ იცის რა სურვილებმა არ იფეთქა ახალგაზდა თავადის თავში.

დაჯდომას იგვიანებდა ახალგაზდობა. ზოგს ამასთან უნდოდა, ზოგს იმასთან. მხოლოდ ზოგს ვერ გაებედნა, ზოგიერთვისაც ვინც არ უნდოდა იმას ეთხოვნა და ზრდილობით მას წაჰყოლოდა.

მხოლოდ ზურაბი იდგა მარტოკა.

ეს შეამჩნია ესტატე-მღვდლის ცოლმა, ბოდიში მოიხადა მის კავალერთან და მსწრაფლად ზურაბისკენ გაექანა.

— ზურაბ, როგორ მარტო დგეხართ!.. გასწით და წაიყვანეთ თიკო.

—არა, ბატონო, ჩემთვის ნუ სწუხდებით...

—როგორ თუ ვწუხდები. უსათუოდ თიკოსთან უნდა იჯდეთ დღეს... როგორ შეიძლება... ის კი არა ჩვენ გვინდა დღეს გამოვაცხადოთ თქვენი...

მაგრამ ზურაბმა აღარ დაათავებინა. ის მიხვდა რაც უნდა ეთქვა დიასახლისს, საჩქაროთ ხელი სტაცა და შეაჩერა.

— არ, ღვთის გულისათვის... ეგ არ ჩაიდინოთ... როგორ იქმნება...

— ჰა, ჰა,!.. გაიცინა „ფოფოდიამ“.

— კარგი, არ ვიტყვი, მხოლოდ თიკოსთან კი მაინც უნდა დაჯდეთ... დამაცა, ერთი თიკოს უთხრა...

ზურაბს უნდოდა შეეკავებინა, მაგრამ „ფოფოდია“ სწრაფათ ჩამოშორდა და თიკოსთან გაჩნდა.

—თიკო. არა გრცხვენიან, ზურაბი მარტო დაგიტოვებია... სწუხს საწყალი კაცი... წადი ეხლავ და ერთად დასხედით.

თიკომ ველარ მოითმინა.

—თქვენ რა გესაქმებათ, ძალუა, ვისთანაც დავჯდები!..

„ფოფადიმაც“ იფეთქა

—როგორ თუ რა მესაქმება! შენი ურიგო საქციელი მასაქმებს.. მთელი დღეა შენი საქმრო მიგიტოვებია და ამ გიჟ თავადს ატორღიალებიხარ...

- ვინ საქმრო?.. რეებს ლაპარაკობთ?!

— მე შენთვის მითქვამს ჭკუიანათ იყავ, თორემ ფეხს წაამტვრევ... თიკო მთლად აენთო, მაგრამ თავი შეიკავა, უცბათ ზურგი შეუქცია „ფოფოდიას“ და ზურაბისაკენ წავიდა.

„ფოფოდიაც“ ბუტბუტით და კაბის შრიალით წავიდა თავის კავალრისკენ.

—ზურაბ, თქვენ ძალიან გეწყინებათ, რომ დღეს თქვენთან არ დავჯდე?—შეეკითხა თიკო დაღვრემილათ მდგარ ზურაბს.

ზურაბის შუბლს კიდევ მეტი შავი ღრუბელი გადაეფარა.

არა, ვინ მოგახსენათ!.. უპასუხა მან ხმა-შერყევით.

—ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!.. გამომეტყველებით ჩახედა თიკომ ზურაბს თვალებში.

ზურაბი კვლავ მოინათლა. ეს თვალები მართალი იყვენ. ამ თვალებს უთოდ უყვარდათ ზურაბი.

თიკომ ხელი გაუწოდა ზურაბს. იმანაც ჩამოართვა. მგრძნობიარე ბევრის მეტყველი იყო ორივესთვის ეს ხელის ჩამორთმევა.

ცოტა ხნის შემდეგ თიკო და თავადი სიმონიკა სუფრის შუა-ალაგს მხიარულად ისხდნენ.

ზურაბი სუფრის ბოლოს იასონსა და ციფალუქთან მოხვდა.

სხვებიც ჩამოჯდნენ.

მაგრამ აი მოვიდა ესტატე მღვდელი.

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ დაიწყო მან თავისი ლმობიერი ხმით.

ყველანი წამოიშალენ.

საზეიმო იყო ამ დროს სუფრა. ოთხმოცამდი ქალი და კაცი საზაფხულოთ თეთრსა და ღია-ფერებში მორთული, ფართოთ გაშლილ კაკლის ძირას მდუმარე იდგა და ძველ-კილოვნების ნაშთს, რელიგურ აქტს ასრულებდა.

„რამეთუ შენი არს სუფევა, ძალა და დიდება...“ უფრო თამამათ გაისმოდა გარინდულ არე-მარეში

ო 873
1913 /2

ესტატე მღვდლის ხმა.

მხოლოდ, რა თქმა უნდა, აქ არ იყო პირველ საუკუნეთა ქრისტიანების ექსტაზი, ზეციური აღფ-თოვანება. აქ მხოლოდ ძალა-უნებური მორჩილე-ბით მდუმარეობდნენ სტუმრები. ზოგს ირონიული ღიმი დაკრთოდა სახეზე, ზოგი თავის თავს ჩაღრმა-ვებოდა, ზოგი თვალს ავლებდა ამ უცხო კრებულს, ზოგიც ფართოთ გაშლილ, ბიბლიურ სახეს ესტატე მღვდლისასა შესჩერებოდა.

„ღმერთო, აკურთხე სახლი, საჭმელი"... გაი-სმა უკანასკნელი წართქმა მღვდლისა და კვლავ ყვე-ლანი ახმაურდნენ.

სანდრო ფიქრობდა:

—ეხლა რომ ერთი, მძლავრი, მიმღები მანქა-ნა მომცა გრამოფონისა, სულ ჩავწერდი ამ ხმათა და ბგერათა სხვადასხვაობას, რომ შემდეგში უფრო კარგათ გამერჩია ხასიათი და მიმართულება, რიტმი ამდენ ადამიანთა ხმის აღმოტკვრევისა. თორემ ეხ-ლა კარგათ ვერ ვარჩევ: თვით მე მოქმედ პირათ ურევივარ ამ ჟრიამულში და კარგათ ვერ გამომი-წვლილავს. გრამოფონზე გადაღებული კი ჩემთვის მოშორებულია, განყუნებული და ამიტომაც მეტის ობიექტობით შემიძლია მისი შესწავლა, დაკვირვება... ჰა, ჰა! ამაში უნდა იყვეს კიდეც საზოგადოთ ხელო-ვნების მიმზიდველობის საიდუმლოც: თეატრი, ქან-დაკი, სურათი, წიგნი... შორით განცდა... აი აქ —ჟურტულებენ ქალები, ვაჟები ბოხისხმაობენ, ზოგი ფართოთ იცინის, ზოგი წვრილათ კისკისებს, ზოგი ნაღვლიანათ ღუღლუღებს, ზოგი გაბმით მო-ნოტონურათ ზიდავს ხმას. ყველა ეს და სხვაც ჩემ-გან ეხლა შეუმჩნეველი, დაუჭირველი ბგერა-კილოვ-ნება ერთათ შეთხუზულია და წარმოშობს რაღაც უცნაურს ერთეულს მუსიკისას, რიტმისას... საყუ-რადღებოა ამის შესწავლა. დიაღ, გრამოფონი თუ ფონოგრაფი უნდა ამას; ან და ემილ ზოლას დიდი ბეწვის კალამი, რომ ეს დიდი სურათი ხალხთა შეჯ-გუფვისა მხატვრული სინამდვილით გადმოგვცეს..

ნადიმი უკვე დაიწყო.

თამადათ არჩეული, ყურთმაჟებიანი თავადი კოტე ღირსეულათ შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

პირველი სადღეგრძელო კოხტა, ვერცხლის აზარფეშით თიკოსი დაილია.

კოტე თავისებურათ მჭევრ-მეტყველი, მახვილი ...აცი იყო და ჭადრკულის სიტყვათა კონით აღღე-...ა.

გრძელა ფეხზე წამომდგარი, თვალებ-აციმციმებული, ლოყა შეწითლებული თიკო;

„მიწად ფეხი არ აკადრა,
სულ ღრუბლებში ალივლივა..."

მედუდუკეებმა დაჰკრეს ტუში შემდეგ გაისმა ტკბილი, დინჯი და მდორე კახური მრავალ-ჟამიერ.

წამოდგა ფონი-ტაუბე.

Бриллiантовая барышня, краса алмазной Грузiи.. (ბრილიანტო ქალიშვილო, მშვენებავ ალ-მაზ საქართველოსი).

„რუჩისტი" იყო მაზრის უფროსი და ხშირად უყვარდა „პატიოსან თვალთა" ხსენება.

სანდრომ ერთი მიაძახა კიდეც:

—მოგვწყინდა მინერალოგია, ერთი ბატანიკი-დანაც გვითხარით რამეო. მაგრამ საერთო ხრიალ-ში მისი შენიშვნა აღარავის გაუგონია.

მხოლოდ გულით გაეცინა მის მარჯვენა მხარე-ზე მჯდომ პაწია, ჩარგვალებულ, ახალგაზდა მაკოს-სანდრომ მისკენ მიიხედა და სიამოვნებით მხო-ლოდ ეხლა შენიშნა, რომ კოხტა მეზობელთან მჯდარა.

--რა გაცინებთ?—შეეკითხა სანდრო.

—Какой вы душка, ей Богу!
(რაკარგი რამა ხართ.- სულიკო! ღმერთმანი!)

--ჰა, ჰა!—გაეცინა სანდროსაც. მან ხარბათ ჩახედა კარგა ფართოთ მოღიავებულ მეზობლის პაწია თეთრგულ-მკერდს რომელიც სწრაფად ადიოდა და ჩამოდიოდა, ადიოდა და ჩამოდიოდა.

-რა გქვიანთ?

--მაკო.

--მაკო?

—მაკო.—შეუჟუჟუნებდენ სანდროს მაწია, მკურ-ცხლი, ლურჯი თვალები.

სანდროს გაახსენდა ყაზბეგის ლექსი:

„ორივ კარგი ქალი არის.

ნატოცა და მაკოცაო,

ტუჩი ველარ მოაშორა,

ვინც რომ ერთხელ აკოცაო!"

„მაკოცა, მაკოცაო!" დაფრთქიალებდა ეს სი-ტყვა მისი შეგნების გალიაში. არ ეშვებოდა, გაუჟი-ნიახდა. წამოცდა კიდეც ხმა-მაღლა.

Что, что вы сказали? (რა, რა სთქვი?)—შე-თრფინვით ეკითხებოდა მაკო.

— მაკო, (ეს მე გეძახით), ცაო, (ეს მე ვეძახი). ერთად: მაკო! ცაო! მაკოცაო!

—ჰა, ჰა, ჰა! Какой душка, ей Богу.

Библиотека-Музей имени Акад. Н. Гришашвили Академия наук